

სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა მოკლე აღწერა

სოფლის მეურნეობის სტატისტიკისთვის ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა. გამოკვლევის თითოეული რაუნდი მოიცავს ერთ საანგარიშო წელს და შედგება 5 გამოკითხვისაგან. საწყისი გამოკითხვა ტარდება წლის დასაწყისში - საანგარიშო წლის იანვრის თვის მესამე დეკადაში, I, II და III კვარტალების გამოკითხვა - ყოველი კვარტალის დასრულების შემდეგ, მომდევნო თვის პირველ დეკადაში, ხოლო დასკვნითი გამოკითხვა - საანგარიშო წლის დასრულების შემდეგ, იანვრის თვის მეორე დეკადაში.

საწყისი გამოკითხვა ტარდება საწყისი გამოკითხვის კითხვარის მეშვეობით. ამ გამოკითხვის დროს ხორციელდება შერჩეული მეურნეობების იდენტიფიკაცია და პირველი იანვრისათვის მეურნეობაში არსებული მდგომარეობის დაფიქსირება. I, II და III კვარტალების გამოკითხვები ტარდება კვარტალური გამოკითხვის კითხვარის გამოყენებით. ამ კითხვარით ხდება საანგარიშო კვარტალის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება. დასკვნითი გამოკითხვა, რომელიც წარმოადგენს როგორც IV კვარტალის, ისე მთლიანად საანგარიშო წლის განმავლობაში მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შეჯამებას, ტარდება დასკვნითი გამოკითხვის კითხვარის მეშვეობით.

გამოკვლევის ხუთივე გამოკითხვისას გამოიკითხება ერთი და იგივე სასოფლო მეურნეობები (დაახლოებით 12 000), რომლებიც ორსაფეხურიანი, სტრატეგიცირებული, კლასტერული, შემთხვევითი შერჩევის გზით შეირჩევიან საქართველოში არსებული დაახლოებით 642 000 სასოფლო მეურნეობიდან. პირველ საფეხურზე ხდება სოფლების შერჩევა, ხოლო მეორე საფეხურზე შერჩეულ სოფლებში - მეურნეობების შერჩევა. გამოკვლევა მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებული ტერიტორიების გარდა. ყოველ წელს ხორციელდება ახალი შერჩევის ფორმირება, რომელიც ეფუძნება როტაციულ დიზაინს, კერძოდ წინა წელს შერჩეული 12 000 მეურნეობიდან იცვლება მხოლოდ 4 000 მეურნეობა. შერჩევაში მოხვედრილი მეურნეობები გამოკვლევაში მონაწილეობენ 3 წლის განმავლობაში. ამასთან, მსხვილი სასოფლო მეურნეობები ყოველი წლის შერჩევაში სრულად არიან წარმოდგენილნი. სასოფლო მეურნეობად ითვლება დამოუკიდებელი ეკონომიკური ერთეული ზომის, საკუთრებისა და სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, რომელშიც სასოფლო-სამეურნეო წარმოება ხორციელდება მეურნის (შინამეურნეობის შემთხვევაში შინამეურნეობის უფროსი, ხოლო საწარმოს შემთხვევაში საწარმოს დირექტორი ან უფლებამოსილი პირი) ხელმძღვანელობით, რომელიც პასუხისმგებელია სამეურნეო გადაწყვეტილებებზე და საკუთარ თავზე იღებს მეურნეობის გაძღვლასთან დაკავშირებულ ყველა ეკონომიკურ რისკს და დანახარჯს, ამასთან, სარგებლობს სამეურნეო შედეგებით.

გამოკითხვას ატარებენ ინტერვიუერები, რომელთა რაოდენობა 350-ს აღემატება. ინტერვიუერებს რეგულარულად უტარდებათ ცოდნის ასამაღლებელი ტრენინგი, რომლის დროსაც კეთდება ინტერვიუერების მიერ წლის განმავლობაში დაშვებული შეცდომების ანალიზი და განიხილება კითხვარების დახვეწის მიზნით მათში შეტანილი ცვლილებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ყოველ მუნიციპალიტეტზე მიმარგებულია ერთი ან რამდენიმე კოორდინატორი, რომლის მოვალეობას წარმოადგენს ინტერვიუერთა მუშაობის კოორდინაცია, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს კონტროლი, შევსებული კითხვარების გადამოწმება და ელექტრონული ფორმის საშუალებით ინფორმაციის შეყვანა მონაცემთა ბაზაში. საველე სამუშაოების კონტროლისთვის რეგულარულად ტარდება

მონიტორინგი, რომელსაც ახორციელებს საქსტატის შიდა აუდიტის სამმართველო.

შინამეურნეობების გამოკითხვა ტარდება რესპონდენტის პირისპირ გამოკითხვის გზით. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა გამოკითხვის შემთხვევაში, საწარმოს წარმომადგენელი, კოორდინატორის დახმარებით, ავსებს სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის ელექტრონულ (ონლაინ) კითხვარებს.

გამოკითხვის შედეგების მონაცემთა ბაზაში ასახვის შემდეგ წარმოებს მონაცემების გაწმენდა. თავდაპირველად გაწმენდა ხორციელდება სპეციალურად შექმნილი პროგრამის მეშვეობით, რომელიც ავლენს ლოგიკურ და არითმეტიკულ შეუსაბამობებს, ხოლო შემდგომ ხდება ამოვარდნილი, არატიპიური და საექვო მონაცემების გამოვლენა, მათი გადამოწმება და საჭიროების შემთხვევაში შესწორება. მომდევნო ეტაპზე ხორციელდება მიღებული მაჩვენებლების შედარება წინა პერიოდების ანალოგიურ მაჩვენებლებთან. მნიშვნელოვანი გადახრების არსებობის შემთხვევაში ხდება მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა და ანალიზი.

სოფლის მეურნეობის სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლები გაიანგარიშება გაწმენდილი მონაცემებისა და მეურნეობების წონების გამოყენებით. ზოგიერთი მაჩვენებლის გამოსათვლელად ტარდება სპეციალური კვლევები, კერძოდ:

- ინფორმაცია ცხვრისა და თხის სულადობის, ასევე ბაღყელის წარმოების შესახებ მიიღება ტერიტორიულ ერთეულებში გამგეობების რწმუნებულთა ყოველწლიური გამოკითხვით;
- ინფორმაცია ჩაის ნედლი ფოთლის გადამამუშავების შესახებ მიიღება ჩაის ნედლი ფოთლის გადამამუშავებელ საწარმოთა ყოველწლიური გამოკითხვით.

ამასთან, სოფლის მეურნეობის საშუალო მაჩვენებლები გამოითვლება შემდეგნაირად:

- საშუალო მოსავლიანობა - საანგარიშო წლის განმავლობაში წარმოებული მთლიანი მოსავლის შეფარდებით აღებულ ფართობთან, რომლიდანაც მოხდა მოსავლის აღება (მხედველობაში მიიღება მხოლოდ წმინდა ნათესი);
- საშუალო წველადობა - საანგარიშო წლის განმავლობაში რძის მთლიანი წარმოების შეფარდებით წლის განმავლობაში არსებული მეწველი ფურების საშუალო რაოდენობასთან;
- მატყლის საშუალო ნაპარსი - საანგარიშო წლის განმავლობაში მატყლის მთლიანი წარმოების შეფარდებით გაპარსული ცხვრების რაოდენობასთან;
- საშუალო ნამატი - საანგარიშო წლის განმავლობაში დაბადებულ პირუტყვთა რაოდენობის შეფარდებით დედათა საშუალო რაოდენობასთან.

საქსტატის ოფიციალურ ვებგვერდზე, სტატისტიკურ სამუშაოთა კალენდრის შესაბამისად ქვეყნდება შემდეგი ინფორმაცია:

20 თებერვალი - წინასწარი მონაცემები გასული წლის მეოთხე კვარტალის მეცხოველეობის შესახებ;

17 მარტი - ექსპრეს მონაცემები გასული წლის საშემოდგომო კულტურების ნათესი ფართობების შესახებ;

18 აპრილი - წინასწარი მონაცემები გასული წლის სასოფლო-სამეურნეო მაჩვენებლების შესახებ (ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობი, აღებული ფართობი, წარმოება და საშუალო მოსავლიანობა. ასევე, მრავალწლოვანი კულტურების წარმოება);

19 მაისი - წინასწარი მონაცემები მიმდინარე წლის პირველი კვარტალის მეცხოველეობის შესახებ;

16 ივნისი - საბოლოო მონაცემები გასული წლის სასოფლო-სამეურნეო მაჩვენებლების შესახებ - პუბლიკაცია "საქართველოს სოფლის მეურნეობა";

18 აგვისტო - წინასწარი მონაცემები მიმდინარე წლის მეორე კვარტალის მეცხოველეობის შესახებ;

1 სექტემბერი - ექსპრეს მონაცემები მიმდინარე წლის საგაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობების შესახებ;

20 ნოემბერი - წინასწარი მონაცემები მიმდინარე წლის მესამე კვარტალის მეცხოველეობის შესახებ.

წინასწარი მონაცემები ქვეყნდება ქვეყნის დონეზე, ხოლო საბოლოო მონაცემები უფრო დეტალურად, რეგიონების დონეზე. შერჩევის ზომა არ იძლევა საშუალებას, ყველა რეგიონისათვის იქნეს მიღებული საიმედო მაჩვენებლები, ამიტომ აღნიშნული რეგიონების მაჩვენებლები ქვეყნდება აგრეგირებული სახით, დასახელებით "დანარჩენი რეგიონები".